შეთანხმება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს "უნიმედი სამცხე"-ს შორის 2011 წლის 13 სექტემბერს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

თბილისი 11 ივნისი, 2012 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,** (შემდგომში „გამყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **დავით გიორგაძის** (პ/ნ 01026000751) სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 28 თებერვლის №1-1/322 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

და **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში "სამინისტრო") წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **მიხეილ დოლიძის** (პირადი №01023004648) სახით, მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 4 აპრილის №01-73/ო ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

მეორე მხრივ, **შპს "უნიმედი სამცხე"** (შემდგომში "მყიდველი") (საიდენტიფიკაციო კოდი №404865963), წარმოდგენილი დირექტორის **ირაკლი მანელიძის** (პირადი №01005006068) მიერ,

ერთად წოდებულნი როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც "მხარე".
„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს "უნიმედი სამცხე"-ს შორის 2011 წლის 13 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 9.1 პუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს "უნიმედი სამცხე"-ს შორის 2011 წლის 13 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
   ა) 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2.1. მყიდველს ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული "ქონება" საკუთრებაში გადაეცემა სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად. მყიდველი ვალდებულია აღნიშნული თანხა გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში."

...ორიგინალ
...ოსტამენტთან
11.06.2012 წ.

ბ) 3.1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"3.1.3 უზრუნველყოს გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებული პერსონალის (ექიმის და ექთნის) დასაქმება, მათი ინდივიდუალური წერილობითი განცხადების საფუძველზე, დასაქმების მომენტისთვის მათი პოზიციებისა და ანაზღაურების არსებული პირობების შენარჩუნებით, წლიური საშუალო ხელფასის გათვალისწინებით, სულ მცირე ერთი თვის ვადით. აღნიშნული ვალდებულების უზრუნველსაყოფად „მყიდველი" ვალდებულია დასაქმების თაობაზე შესაბამისი განცხადების საჯაროდ გამოცხადებაზე დანართი №4-ით გათვალისწინებულ დაწესებულებებში; ამასთან დანართი №2-ით გათვალისწინებული პერსონალის მიერ „მყიდველისათვის" წარდგენილი წერილობითი უარი დასაქმების თაობაზე ან/და საჯარო განცხადების გამოცხადებიდან გარდამავალი პერიოდის დასაწყისამდე მითითებული პერსონალის მიერ შესაბამისი (შრომით ურთიერთობაში შესვლაზე თანხმობა ან უარი) წერილობითი პოზიციის დაუფიქსირებლობა ათავისუფლებს მყიდველს ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე. აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს კომისიას. "
გ) 3.1.4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"3.1.4. არაუგვიანეს 2011 წლის 1 ნოემბრისა, უზრუნველყოს ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით გათვალისწინებული დასაქმებული პერსონალის შერჩევა, შემდგომში მყიდველის საკუთრებაში და/ან სარგებლობაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმების მიზნით."
დ) 3.1.8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"3.1.8 გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს არსებული სამედიცინო სერვისების მიწოდებისთვის აუცილებელი ლიცენზიების/ნებართვების მოპოვებისათვის საჭირო ქმედებები."

ე) 3.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

<u>"3.2 "გამყიდველი" ვალდებულია:</u>
3.2.1 "მყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 და 3.1.6 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი დადასტურება, რომელიც შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ვალდებულების გაუქმების ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.
3.2.2 "მყიდველის" მიერ 3.1.2, 3.1.3, 3.1.4, 3.1.5, 3.1.8, პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში "კომისიის" დასკვნის საფუძველზე გასცეს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი დადასტურება, რომელიც შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ვალდებულების გაუქმების ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.
3.2.3 უზრუნველყოს "მყიდველის" მიერ 3.1.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ხელშეწყობა."
ვ) 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"4.2 "მყიდველს" საკუთრების უფლება გადაეცემა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან."
ზ)მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 7. შეტყობინებები

7.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, ფაქსის, შეკვეთილი წერილის, კურიერის ან ელექტრონული მატარებლების მეშვეობით ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

...ბიდან
...ოკუმენტთან
...

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტის მიზნებისათვის მხარეთა რეკვიზიტებია:

7.2.1. გამყიდველის შემთხვევაში:
მიმღები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
მისამართი: ჭანტურიას ქ. №12, თბილისი, საქართველო;
ტელ: +995 32 2991105; 2991072
ფაქსი: +995 32 2921534

7.2.2 . სამინისტროს შემთხვევაში:
მიმღები: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მისამართი: წერეთლის გამზ. №144, თბილისი, საქართველო;
ტელ: +995 32 2510011;
ფაქსი: +995 32 2510019

7.2.3. მყიდველის შემთხვევაში:
მიმღები: შპს "უნიმედი სამცხე"
მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. №20, თბილისი, საქართველო
ტელ: 5 99 09 00 39

7.3. მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველსა და სამინისტროს მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველის ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის წერილობითი გაფრთხილება ჩაითვლება ჩაბარებულად;"

თ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრლებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.3. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან/და ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა პუნქტების გაუქმებას ან/და ბათილობას.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
9.5. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს."

2. წინამდებარე შეთანხმებით ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები და დამატებები არ ცვლის ხელშეკრულების სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმებით ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები ძალაშია ხელშეკრულების შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების განმარტების დროს.

შეთანხმებულია მხარეთა
დოკუმენტაციაში
11 06 2012 წ.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელიც გადაეცემათ მხარეებს.

გამყიდველი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი

დავით გიორგაძე

_____

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
წარმომადგენელი

მიხეილ დოლიძე

_____

მყიდველი
შპს „უნიმედი სამცხე"
წარმომადგენელი

ირაკლი მანელიძე

_____ ირაკლი მანელიძე

შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან
11.06.2012 წ.